დამტკიცებულია :
კოლეჯი შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის ბრძანებით N 01-06 10.03.2020 წ.
შესულია ცვლილება:
კოლეჯი შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის 2022 წლის 25 აგვისტოს N 01-12 ბრძანებით.

შპს კოლეჯი ცხუმ-ეგრისი

2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა

კოლეჯი „ცხუმ-ეგრისი” წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებულებას. დაფუძნდა 2006 წელს, 2008 წლიდან როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ლიცენზირებული დაწესებულება, ახორციელებდა სხვადასხვა მიმართულების სახელობო პროფესიულ პროგრამებს. 2013 წელს მიენიჭა საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი , 2014 წელს წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და 2019 წლის 20 ივნისის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით რეავტორიზაცია, რომლის საფუძველზე 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება. კოლეჯი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, ,,პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონით, მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებით, კოლეჯის შინაგანაწესითა და წესდებით.

მისია:

კოლეჯი ცხუმ-ეგრისი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მისიაა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება,მათი პიროვნული და პროფესიული განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობა, კოლეჯსა და რეალურ ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარებით თავისი წვლილის შეტანა ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში.

ხედვა:

2027 წლისთვის კოლეჯი ცხუმ-ეგრისი, როგორც წარმატებული და კონკურენტუნარიანი მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულება , უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოების მოთხოვნებთან და შრომის ბაზართან ჰარმონიზაციას, პროფესიულ სტუდენტსა და მსმენელს სთავაზობს ხარისხიან განათლებას და კარიერულ წინსვლაში ხელშწყობას.

ღირებულებები:

კოლეჯის საქმიანობის პრინციპები და წესები უზრუნველყოფს სამართლიანი, ჰუმანური, თანასწორი, კონკურენტუნარიანი, ხელმისაწვდომი, პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/თანამშრომელზე ორინეტირებული საგანმანათლებლო და სამუშაო გარემოს არსებობას, სადაც ყველას აქვს არჩევანის, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღების, თვითგამოხატვის თავისუფლება.

კოლეჯის მიზნებია:

- ✓ განახორციელოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა;
- ✓ მოამზადოს სათანადო თეორიული, პრაქტიკული ცოდნისა და უნარების მქონე სპეციალისტები;
- ✓ უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული განათლების მისაღებად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

ამ მიზნების შესრულებისათვის კოლეჯი:

- ✓ ამზადებს პროფესიულ სტუდენტს პროფესიული მოღვაწეობისათვის;
- ✓ ზრუნავს, როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ისე ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- ✓ ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტების საჭიროებებსა და ქმნის მათთვის სწავლის საშეღავათო პირობებს;
- ✓ ხელს უწყობს თავისი კომპეტენციის ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისათვის ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელებას;
- ✓ ხელს უწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას.

3.1. SWOT ანალიზი

3. არსებული სიტუაცია და გამოწვევების ანალიზი *(SWOT* ანალიზი*)*

დაწესებულებას გაცნობიერებული აქვს თავისი როლი და ადგილი პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მისიიდან გამომდინარეობს.სტრატეგიული გეგმა შემუშავდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, პროცესში ჩართული იყვნენ, როგორც შიდა დაინტერსებული მხარეები, ისე სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლები, ასევე პარტნიორი დაწესებულებები/დამსაქმებლები. გათვალისწინებული იყო ასევე რეგიონის სტრატეგიული დოკუმენტები.

სტრატეგიულ გეგმაში განხორციელდა ცვლილებები, რაც განპირობებული იყო იმ დოკუმენტების, ასევე რეგიონული სტრატეგიული დოკუმენტების ცვლილებით, რომელთა საფუძველზეც იქნა შემუშავებული პსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა. ცვლილება განპირობებული იყო შემუშავებისას გამოყენებული სტრატეგიული დოკუმენტების მოქმედების ვადების გასვლისა და რეგიონული სტრატეგიული დოკუმენტების ცვლილებებიდან გამომდინარე. რაც ასევე ადასტურებს, რომ კოლეჯის მიერ გათვალისწინებულია ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტები და დაინტერესებული მხარეების მოლოდინი;

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება დაეფუძნა SWOT ანალიზს, რომელიც შესრულდა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესწავლისა და ასევე ქვეყნისა და რეგიონის სამთავრობო სტრატეგიული დოკუმენტების და ანგარიშების განხილვის საფუძველზე. ჩატარებულმა SWOT ანალიზმა კოლეჯს საკუთარი შესაძლებლობებისა და რესურსების შეფასების და მათი ეფექტური გამოყენების გზების განსაზღვრის საშუალება მისცა, რომლის საფუძველზე 2020-2027 წლების სტრატეგიაში წარმოდგენილია კოლეჯის პრიორიტეტები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა შედგენილია კოლეჯის საქმიანობის სუსტი მხარეების გაუმჯობესების დროში გაწერილი მიზანმიმართული ქმედებებით, ძლიერი მხარეებით განპირობებული შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენებით.

შესაძლებლობები ✓ პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა და წახალისება; ✓ შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე მოკლევადიანი პროგრამების დამატება; ✓ ექსტრაკურიკულური აქტივობების მხარდაჭერა და წახალისება; ✓ დაწესებულების ცნობადობის გაზრდის შესაძლებლობები; ✓ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება; ✓ კერძო სექტორის გაზრდილი დაინტერესება პროფესიულიგანათლების მიმართ/პარტნიორი ორგანიზაციების მიერ კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები; ~ ✓ დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვა; ✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება /გაუმჯობესება;	საფრთხეები სასწავლო პროცესის შეფერხების საფრთხე, პანდემიის ფონზე.

კოლეჯის განვითარების სტრატეგიული მიზნები

სიტუაციური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა 5 სტრატეგიული მიზანი, რომლებზეც კოლეჯი შემდგომი 2020-2027 წლების განმავლობაში იმუშავებს.

კერძოდ: სტრატეგიული მიზანი 1 - შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამებით

კოლეჯი პერმანენტულად იზრუნებს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავება / დანერგვაზე შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარების დაფარვის მიზნით; მათ შორის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL) ხელშემწყობი საგანმანათლებლო საქმიანობით. ასევე გაზარდოს პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტი ავტორიზებული პროგრამების ფარგლებში. დანერგოს / განავითაროს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების , ასევე პროგრამების/ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევების ალტერნატიული მოქნილი და ეფექტური მექანიზმები (დისტანციური სწავლების სისტემით);

სტრატეგიული მიზანი 2 - პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების განვითარება

კოლეჯი პერმანენტულად ზრუნავს ჩატარებული კვლევის (უკუკავშირის მეთოდებით)შედეგებიდან გამომდინარე პროგრამების განვითარებაზე (პროგრამებში შეტანილი ცვლილებები,განახლებული წიგნადი ფონდი , მოძიებული ელექტრონული რესურსები,პარტნიორთა გაზრდილი რაოდენობა და ახალი ხელშეკრულებები,დანერგილი ინოვაციური მეთოდები / სასწავლო პლათფორმები / გადამზადებული ადამიანური რესურსი);

სტრატეგიული მიზანი 3 – კოლეჯის ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფა მატერიალური, საინფორმაციო რესურსების განვითარებისა და ფინანსური რესურსების დივერსიფიკაციის გზით

კოლეჯი ორიენტირებულია რეგულარურად განაახლოს / მოაწყოს ინფრასტრუქტურა მოთხონებიის შესაბამისად, მათ შორის სსსმ პირებისთვის, განავითაროს დარგობრივი ლაბორატორიები და საინფორმაციო რესურსები , უზრუნველყოს ფინანსური მდგრადობა ფინანსური რესურსების დივერსიფიკაციის გზით ;

სტრატეგიული მიზანი 4 სტუდენტთა სერვისების განვითარება

კოლეჯი ორიენტირებულია უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და გარანტიების დაიცვა, განავითაროს პროფესიული სტუდენტური
წარმომადგენლობითი საბჭოს ხელშეწყობისა და წახალისების მექანიზმები, პროფოეიენტაციისა და კარიერული წინსვლის სერვისები,ექსტრაკურიკულური
ინიციატივებისა და სსსმ პირების მხარდაჭერა.

სტრატეგიული მიზანი 5

ადამიანური რესურსის განვითარება;

კოლეჯი ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადებაზე, ახალი კადრების მოზიდვასა და სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიის გაუმჯობესებაზე. ახორციელებს პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა.

კოლეჯის 2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა

სტრატეგიული ამოცანები		განხორციელების წლები								შესრულების ინდიკატორი
		2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	
სტრატეგიული მიზანი 1. შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამებით										
1.1	შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება									2027 წლისათვის დამატებული მინიმუმ ორი პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა
1.2.	ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა									2027 წლისთვის დანერგილი მინიმუმ ერთი ინტეგრირებული პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა
1.3	პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდა									2027 წლისთვის პროფესიული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა მინიმუმ ორ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე
1.4	პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განვითარება									2027 წლისათვის დამატებული მინიმუმ სამი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა

	შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად									
1.5.	გაცვლითი/ ერთობლივი პროგრამების განვითარება									2027 წლისთვის მინიმუმ ერთი გაფორმებული ხელშეკრულება საერთაშორისო პარტნიორთან

სტრატეგიული მიზანი 2 **პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების განვითარება**

სტრატეგიული ამოცანები		**განხორციელების წლები**								**შესრულების ინდიკატორი**
		2020	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**	**2026**	**2027**	
2.1.	მოქმედი პროგრამების განვითარება									ჩატარებული კვლევის (უკუკავშირის მეთოდებით)შედეგები; პროგრამებში შეტანილი ცვლილებები
2.2.	საგანამანთლებლო რესურსების განვითარება									განახლებული წიგნადი ფონდი , მოძიებული ელექტრონული რესურსები
2.3.	პარტნიორული ქსელის განვითარება / გაფართოება									პარტნიორთა გაზრდილი რაოდენობა და ახალი ხელშეკრულებები
2,4,	ინოვაციური სწავლა-სწავლების მეთოდების დანერგვა									დანერგილი ინოვაციური მეთოდები / სასწავლო პლათფორმები / გადამზადებული ადამიანური რესურსი

სტრატეგიული მიზანი 3 კოლეჯის ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფა მატერიალური, საინფორმაციო რესურსების განვითარებისა და ფინანსური რესურსების დივერსიფიკაციის გზით										
სტრატეგიული ამოცანები			განხორციელების წლები							შესრულების ინდიკატორი
			2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	
3.1.	ტექნიკური აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის რეგულარული განახლება/მოწყობა მოთხოვნების შესაბამისად (მათ შორის სსსმ პირებისთვის)										გეგმიურად განახლებული ინფრასტრუქტურა ,შეძენილი / განახლებული ინვენტარი/. შესყიდვების / მომსახურების გაწევის დოკუმენტაცია.
323.	ფინანსური მდგრადობის მიზნით დაფინანსების წყაროების მოძიება										სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტიტებთან თანამშრომლობა
3.3.	კოლეჯის მართვის სისტემის განვითარება										ჩატარებული ტრენინგები; კოლეჯის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება; განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტები
3.4.	საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება (ვებ.გვერდი, სოც. ქსელი და სხვა)										კოლეჯის პერსონალისათვის, პროფესიული სტუდენტებისათვის / მსმენელებისათვის მოქნილი და მისაღები საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა

სტრატეგიული მიზანი 4. სტუდენტთა სერვისების განვითარება										
სტრატეგიული ამოცანები			განხორციელების წლები							შესრულების ინდიკატორი
			2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	
4.1.	პროფესიული სტუდენტური										წარმომადგენლობითი საბჭოს შეხვედრის ოქმები

	წარმომადგენლობითი საბჭოს ფუნქციონირების ხელშეწყობა და წახალისება									
4,2,	პროფესიული სტუდენტების პროფორიენტაციისა და კარიერული წინსვლის სერვისების განვითარება									პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, დასაქმების ხელშეწყობა. პროფესიული სტუდენტებისთვის გაწეული ინდივიდუალური კონსულტაციები; პროფესიული სტუდენტების პროფორიენტაციისა და კარიერული წინსვლის მიზნით ჩატარებული ღონისძიებები
4.3.	ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარება									ჩატარებული პროექტებისა და ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია
4.4.	სსსმ პირებისათვის დამტებითი სერვისების შეთავაზება									2027 წლისათვის სსსმ პირებისათვის სრულიად ადაპტირებული სასწავლი ინფრასტრუქტურა და სხვა სერვისები

სტრატეგიული მიზანი 5. ადამიანური რესურსის განვითარება

სტრატეგიული ამოცანები		**განხორციელების წლები**								**შესრულების ინდიკატორი**
		2020	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**	**2026**	**2027**	
5.1.	პერსონალის საქმიანობის შეფასება									ჩატარებული კვლევა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასებითი კვლევის ანგარიში
5.2.	ადამიანური რესურსის პოლიტიკის განვითარება									ადამიანური რესურსების მენეჯერის მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიშები

5.3.	ადამიანური რესურსის შესაძლებლობების განვითარება									კოლეჯის პერსონალისთვის ჩატარებული ტრენინგები საჭირო უნარ-ჩვევების განსავითარებლად და მათი ამსახველი დოკუმენტაცია